რელიგიის თავისუფლება საქართველოში

პრობლემები, რეკომენდაციები

თბილისი 2015

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
თარგმანი: ნინო ტლაშაძე

პროექტის მონიტორები: თამარ ავალიანი
თამარ ქურთაული

პროექტის ჟურნალისტი: ნათია გოგოლაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

<u>მისამართი:</u>
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: http://www.humanrights.ge, http://www.hridc.org

Government of Canada
Embassy of Canada

Gouvernement du Canada
Ambassade du Canada

ანგარიში მომზადდა კანადის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას, შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

რელიგიის თავისუფლება - ფუნდამენტური უფლება 4

პროექტის ფარგლებში შესწავლილი საქმეები 6

- ❖ ქობულეთი - მუსლიმური პანსიონის შევიწროება 6
- ❖ ლელა შველიძის საქმე 11
- ❖ ფლატის მეჩეთის საქმე 15
- ❖ რელიგიური დაპირისპირება ჭელასა და მოხეში 20
- ❖ ჩახერგილი გზა ჭელის მეჩეთთან 27
- ❖ იმედის ფესტივალი 28
- ❖ რელიგიური დაპირისპირება სამთაწყაროში 31

რეკომენდაციები 34

დანართი 1 36

დანართი 2 37

დანართი 3 39

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის - „რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობა საქართველოში“ - შედეგებს, რომელიც ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა კანადის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით 2014 წ. ნოემბერი - 2015 წ. თებერვლის პერიოდში.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა შეისწავლეს ბოლო პერიოდში საქართველოში დაფიქსირებული რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევის სავარაუდო ფაქტები. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა განახორციელეს გასვლითი ვიზიტები რელიგიური დაპირისპირების ადგილებში, სადაც შეხვდნენ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და მოახდინეს დარღვევების დოკუმენტირება. საქმეების შესწავლისას, ასევე, გამოყენებულია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი, ასევე - ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა უფასო იურიდიული დახმარება გაუწიეს მოქალაქეებს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე. პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა რელიგიის თავისუფლების თემაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რელიგიური უმცირესობების, რელიგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტმა მოამზადა 13 სტატია შესწავლილი საქმეების შესახებ (იხილეთ დანართი 1), ასევე, გაიმართა ტრენინგი თემაზე - სიძულვილის ენა ქართულ მედიაში.

რელიგიის თავისუფლება - ფუნდამენტური უფლება

რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტებით განმტკიცებულ ფუნდამენტურ უფლებას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია, არსებობდეს დემოკრატიული სახელმწიფო. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, საქართველოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეფექტური ზომები გაატაროს რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, მათ შორის - რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის გზით.

რელიგიის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, გამოხატოს თავისი რელიგია ლოცვით, ქადაგებითა და სწავლებით, საჯაროდ ან კერძოდ, როგორც მარტო, ასევე სხვებთან ერთად. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონიერი ინტერესის მისაღწევად, საჯარო და კერძო ინტერესების გონივრული დაბალანსების გზით.

რელიგიის თავისუფლების პრინციპის თანახმად, საქართველო ვალდებულია, უზრუნველყოს რელიგიური უმცირესობების მიერ რწმენისა და აღმსარებლობის უფლებით დაუბრკოლებელი სარგებლობა და დაიცვას ისინი რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე განხორციელებული ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტებით, აღნიშნული უფლების პრაქტიკაში რეალიზება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული. საქართველოში ბოლო წლებში დაფიქსირებული რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებზე არ ხორციელდება სათანადო რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რის გამოც აღნიშნულ ფაქტებს შეუქცევადი ხასიათი აქვს. გამოუძიებელია 2012-2013 წლებში, სოფელ ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებული მუქარისა და რელიგიური რიტუალის უკანონოდ ხელშეშლის ფაქტები[1]. რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო თავად მიმართავს რეპრესიულ მექანიზმებს რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევას წარმოადგენდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის უკანონო დემონტაჟი 2013 წლის 27 აგვისტოს[2]. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგმა ასევე გამოავლინა შემთხვევა, სადაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იკვეთება პირის რელიგიური კუთვნილების საფუძველზე სამართლებრივი დევნის ნიშნები. აღნიშნული საქმის შესახებ იხილეთ ვრცლად ქვემოთ[3].

---

[1] გვ. 3, რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიცია, 2014 წლის 2 დეკემბერი - http://www.scribd.com/doc/249013556/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#scribd

[2] გვ. 303, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2013 წელი, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf

[3] გვ. 5 „ლელა შველიძის საქმე''

პროექტის ფარგლებში შესწავლილი საქმეები

- ❖ ქობულეთი - მუსლიმური პანსიონის შევიწროება

2014 წლის 10 სექტემბერს, ქალაქ ქობულეთში, ვანდალური აქტი განხორციელდა ლერმონტოვის ქუჩაზე ახლადაშენებული მუსლიმური პანსიონის წინააღმდეგ, რომელიც მოსწავლეთა მისაღებად ემზადებოდა. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებლურ მრევლს მიაკუთვნებენ, პანსიონის წინ ღორი დაკლეს და მისი თავი შენობის კარზე დაკიდეს. ისინი აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებენ მათ მეზობლად მუსლიმური პანსიონის გახსნას[4]. აღნიშნული შენობა ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობას“ აქვს დაქირავებული.

ორგანიზაციის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტამდე 6 თვის მანძილზე, შენობის რემონტის განმავლობაში, ადგილობრივი მაცხოვრებლების კონკრეტული ჯგუფი მუდმივად ავიწროებდა პანსიონში რეგისტრირებულ მუსლიმ მოსწავლეებს, რაც გამოიხატებოდა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და შენობაში შესვლისთვის ხელის შეშლაში[5].

აღნიშნულმა ქმედებებმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 10 სექტემბრის ფაქტის შემდეგ და დღემდე გრძელდება. ადგილობრივი მაცხოვრებლების ორგანიზებული ჯგუფი შენობას მუდმივად მეთვალყურეობს. ისინი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ პანსიონში შესვლის მსურველ მუსლიმ პირებს, ორგანიზებულად უღობავენ გზას და ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებენ, უარი თქვან პანსიონში შესვლაზე[6–7]. შენობის შესასვლელი გზა ხელოვნური ბარიერებით არის გადაკეტილი. შენობის შესასვლელთან ხის მასალითა და ავტომანქანის ბორბლებით გაკეთებული ბარიკადებია აღმართული, ბარიკადების წინ კი - ჯვარი[8].

[4] https://www.youtube.com/watch?v=o6J8Ka-0pPI
[5] http://emc.org.ge/2014/09/10/gancxadeba-kobuletis-incidentze/
[6] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18085&lang=geo
[7] http://transparency.ge/en/node/4605
[8] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18085&lang=geo

პანსიონის წინამდებარე ტერიტორია/ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შემთხვევების შესახებ ცნობილია სამართალდამცავი პირებისათვის, ისინი შესაბამის რეაგირებას არ ახდენენ მუსლიმი პირების გადაადგილების შეზღუდვის ფაქტებზე.

პოლიციის უმოქმედობას, ასევე, ხაზს უსვამს სახალხო დამცველის აპარატი. „საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ახსნა-განმარტებების თანახმად, 2014 წლის 15 და 16 სექტემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ადგილობრივი მუსლიმები იმყოფებოდნენ შენობაში და მათ აქციის მონაწილეები არ აძლევდნენ შენობის დატოვების შესაძლებლობას. ხოლო, მოსწავლეებს პანსიონში არ უშვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დღეს პანსიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და აკვირდებოდნენ საპროტესტო აქციის მიმდინარეობას, მათ არ უზრუნველყვეს აქციის მონაწილეების განცალკევება იმგვარად, რომ ერთის მხრივ, მოსწავლეები შესულიყვნენ პანსიონში ან/და მეორეს მხრივ, შენობაში მყოფ პირებს მისცემოდათ შენობის დატოვების შესაძლებლობა“, - აღნიშნულია სახალხო დამცველის 2014 წლის 6 ოქტომბერს გავრცელებულ ინფორმაციაში[9].

2015 წლის 16 იანვარს, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ვიზიტი განახორციელეს პანსიონში, იქ არსებული სიტუაციის ადგილზე გასაცნობად. მიუხედავად იმისა, რომ შენობა სრულ მზადყოფნაშია მოსწავლეთა მისაღებად და

[9] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saqartvelos-saxalxo-damcveli-acharashi-vizits-gegmavs.page

აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ამ დრომდე პანსიონში სწავლა არ დაწყებულა[10].

პანსიონში ჩარიცხული მოსწავლეები ქობულეთში მდებარე ძველი პანსიონის შენობაში არიან მოთავსებული, რომელსაც ორჯერ მეტი ბენეფიციარის მიღება უწევს, რის შედეგადაც, ბავშვები არასათანადო პირობებში იმყოფებიან[11].

ადგილობრივი მაცხოვრებლები შენობაში შესვლის უფლებას მხოლოდ ერთ ადამიანს აძლევენ. იმ შემთხვევაში, თუ შენობაში შესვლას შეეცდება რამდენიმე ადამიანი, ადგილობრივი მაცხოვრებლები ახდენენ მობილიზებას სიტუაციის გაკონტროლების მიზნით. აღნიშნულის მოწმენი გახდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები, რომლებმაც მოინახულეს შენობა 16 იანვარს და გაესაუბრნენ იქ მცხოვრებ ახალგაზრდას, რომელმაც დაადასტურა შენობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული პრობლემები. შენობიდან გამოსვლისთანავე, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს შენობის გვერდით მცხოვრები ადგილობრივი მოქალაქე მიუახლოვდა და აგრესიული ფორმით მოითხოვა ინფორმაცია, თუ რა მიზეზით იმყოფებოდნენ ისინი შენობაში და რომელ რელიგიას წარმოადგენდნენ. ადამიანის უფლებათა წარმომადგენლების განმარტების მიუხედავად, რომ ისინი ვალდებულნი არ იყვნენ უცხო პირისათვის განემარტათ აღნიშნული ინფორმაცია, ქალბატონი აგრძელებდა მოთხოვნას. ქალბატონის განცხადებით, ყველა იქ მცხოვრები მართლმადიდებელია და ისინი არ დაუშვებენ, რომ მათ მეზობლად ვინმემ მუსლიმური პანსიონი გახსნას. მისი განცხადებით, მას შეეძლო, იქვე მოეხდინა ადგილობრივი მაცხოვრებლების მობილიზება, რომლებიც იგივეს დაუდასტურებდნენ[12]. ქალბატონი შეურაცხმყოფელ და სიძულვილის ენის შემცველ გამონათქვამებს იყენებდა მუსლიმი თემის წინააღმდეგ. „თუ ქველმოქმედები არიან და სასწავლებელს აკეთებენ, მაშინ ქართველი ბავშვები მოიყვანონ და ქართულად ასწავლონ, ქრისტიანულად აღზარდონ, რადგან ქართველი მუსლიმი არ არსებობს“, - განაცხადა მან ჩვენთან საუბრისას[13].

[10] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18085&lang=geo
[11] http://emc.org.ge/2014/09/24/gancxadeba-kobuletshi-muslimta-uflebebis-shezgudvaze/
[12] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18085&lang=geo
[13] *იგივე*

ქობულეთის პანსიონის საძინებელი/ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო

ქობულეთის პანსიონის სამზარეულო/ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო.

მუსლიმი თემის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა) - ადამიანის დევნა მისი აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო - გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. პოლიციას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანაშაულებრივი ქმედებები, უზრუნველყოს მუსლიმი პირების გადაადგილების თავისუფლება და მათ მფლობელობაში არსებული შენობით დაუბრკოლებელი სარგებლობა. პოლიციის უმოქმედობის შედეგად, მუსლიმი თემის უფლებები ქობულეთში დღემდე უხეშად ილახება.

10 სექტემბრის ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება მუქარის მუხლით აღიძრა, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო დევნის ნიშნები. გამოძიება დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს[14].

რაც შეეხება მუსლიმური პანსიონის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობის სხვა ფაქტებს, აღნიშნული შემთხვევების გამო, დღემდე არავინ მიცემულა პასუხისგებაში.

2014 წლის 11 სექტემბერს, სამართალდამცავებმა 3 პირი დააკავეს ლერმონტოვის ქუჩაზე პანსიონის საწინააღმდეგო აქციის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელთაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის 100-ლარიანი ჯარიმა შეეფარდათ. პანსიონის საწინააღმდეგო აქციასთან ინციდენტის კავშირის შესახებ დაკავების ოქმში არ იყო აღნიშნული[15]. სამართალდამრღვევთა განმარტებით, ისინი პირადი ინციდენტის გამო დააკავეს[16].

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, სულხან ევგენიძის განცხადებით, შენობა პანსიონის გახსნის მიზნით არ გაყიდულა და ადგილობრივები „შეცდომაში შეიყვანეს“, რადგან მათ ეგონათ, რომ შენობაში ქრისტიანები იცხოვრებდნენ[17]. მსგავსი განცხადებები და ლოიალური დამოკიდებულება ძალადობის ფაქტების მიმართ ეწინააღმდეგება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის პრინციპებს, რომლის დაცვის ვალდებულება ეკისრება ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სამართალდამცავს ორგანოებს, უზრუნველყონ მუსლიმი პირების გადაადგილების თავისუფლება და მათ მფლობელობაში არსებული შენობით დაუბრკოლებელი სარგებლობა, ასევე - სრულფასოვნად გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ 10 სექტემბრის ინციდენტთან და ძალადობის სხვა ფაქტებთან დაკავშირებული სამართალდამრღვევი პირები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს საქართველოს პარლამენტს, უზრუნველყოს საპარლამენტო კონტროლის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის უწყებებზე, პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული კონტროლის ფორმების გამოყენებით.

[14] https://www.youtube.com/watch?v=jt5wx2k0sh4&list=TLWpOLW-JU9CA
[15] https://www.youtube.com/watch?v=O5yrMJFRlcM
[16] *იგივე*
[17] http://ick.ge/articles/19385-i.html

- **ლელა შველიძის საქმე**

2014 წლის 25 ნოემბერსა და 2 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა სასამართლო პროცესის მონიტორინგი მოქალაქე ლელა შველიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ახალციხის რაიონულ სასამართლოში. მონიტორინგმა გამოავლინა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რის გამოც, 2014 წლის დეკემბრიდან ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი საქმეში ბრალდებულის ინტერესების დამცველად ჩაერთო. საქმე მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ განიხილა.

ლელა შველიძეს, რომელიც იეჰოვას მოწმეა, ბრალად ედებოდა ასპინძაში მეზობლად მცხოვრები ზინა ზედგინიძე-ნინუას ცემა, სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად. თუმცა, აღნიშნული ბრალი არ ყოფილა გამყარებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

საქმეში არსებული მტკიცებულებები აჩენს ეჭვს, რომ ბრალდებული ლელა შველიძე თავად იყო შევიწროების მსხვერპლი „დაზარალებულის“ მხრიდან. 11 მეზობლის მიერ ხელმოწერილი კოლექტიური განცხადების თანახმად, ზინა ზედგინიძე-ნინუა განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევა და მუდმივად ავიწროვებს მეზობლებს. „ასპინძაში, ერეკლე მეორის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები მეზობლები შეწუხებულები ვართ ზინა ზედგენიძე-ნინუასაგან, რომელიც აგრესიულია მეზობლების მიმართ, ილანძღება და შეურაცხყოფას გვაყენებს როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს. არ გვაქვს ნორმალურად ცხოვრების საშუალება. გვიშლის საერთო მოკლე გზით სარგებლობის უფლებას. წლების განმავლობაში გვიწევს მისგან შეურაცხყოფის ატანა. არ ვიცით, რომელი ჩვენგანი გავხდებით ხვალ მისი ლანძღვისა და შეურაცხყოფის ობიექტი“, - ვკითხულობთ მეზობლების განცხადებაში[18].

ერთ-ერთი მათგანის, ეკა გორელიშვილის განცხადებით, იგი რამდენჯერმე მივიდა პოლიციაში, რომ ზინა ნინუას მხრიდან შველიძეების ოჯახის შევიწროვებასთან დაკავშირებით განცხადება დაეწერა, მაგრამ ეს პოლიციამ საჭიროდ არ ჩათვალა[19].

ლელა შველიძისა და მისი მეუღლის განმარტებით, მათ არაერთხელ მოითხოვეს სამართალდამცავი ორგანოებისაგან რეაგირება ზინა ზედგენიძე-ნინუას ქმედებებზე, მაგრამ - უშედეგოდ. მათი თქმით, საქმე ლელა შველიძის წინააღმდეგ მას შემდეგ აღიძრა, როდესაც უარი უთხრეს პროკურორს მის მიმართ განრიდების მექანიზმის გამოყენებაზე, რაც უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა. ამას მათი ადვოკატი მანუჩარ ციმინტიაც ადასტურებს: „29 ივლისს გელა და ლელა შველიძეები დაიბარეს

[18] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18002&lang=geo
[19] *იგივე*

პოლიციაში და შესთავაზეს განრიდების გაკეთება. ხოლო 30 ივლისს ღამის 10 საათზე ისინი, არასრულწლოვან შვილთან ერთად, ქუჩიდან მიიყვანეს პოლიციაში, სადაც ალექსანდრე კენჭოშვილმა კვლავ შესთავაზა განრიდება. უარმა ისინი ძალიან გააღიზიანა, რის შემდეგაც დაემუქრნენ, რომ მისცემდნენ პასუხისგებაში“[20].

საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ლელა შველიძემ თავად დარეკა პოლიციაში და შეატყობინა მათ ზინა ზედგინიძე-ნინუას მხრიდან განხორციელებული სავარაუდო თავდასხმის შესახებ. ყურადსაღებია ასევე ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ინციდენტს ადგილი ჰქონდა ლელა შველიძის სახლში.

მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა ექსპერტიზის ჩატარების კუთხითაც. სრულფასოვნად არ გამოკვლეულა ლელა შველიძის ფიზიკური დაზიანება - ექსპერტის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ლელა შველიძის თმები, ექსპერტის წინაშე კი დასმულია შეკითხვა - „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თმები მიეკუთვნება თუ არა ადამიანს და დადებით შემთხვევაში ამოგლეჯილია თუ მოჭრილი?“ ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ თმები ამოგლეჯილია. მიუხედავად ამისა, გამოძიებას მხედველობაში არ მიუღია აღნიშნული ფაქტი. ექსპერტის წინაშე სხვა შეკითხვები არ დასმულა. ექსპერტიზა არ ჩატარებულა იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად ლელა შველიძეს მიეკუთვნებოდა თუ არა აღნიშნული თმები. აღნიშნული საკითხი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოძიების ობიექტურად წარმართვისათვის (იხილეთ დანართი 2).

საქმეში წარმოდგენილი ერთადერთი თვითმხილველის, გიორგი გორელიშვილის ჩვენება, რომლის თანახმადაც, მან დაინახა, რომ ლელა შველიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზინა ნინუას, თავად მოწმემ უარყო. 2014 წლის 16 დეკემბერს გიორგი გორელიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მას პოლიციელებმა მთვრალ მდგომარეობაში მოაწერინეს ხელი აღნიშნულ ჩვენებაზე, ჩვენების შინაარსი კი მეორე დღეს გააცნეს. მოწმის განცხადებით, ის შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა და არაფერი დაუნახავს[21].

პროცესზე ჩვენების მიცემამდე გიორგი გორელიშვილმა ადამიანის უფლებათა ცენტრის ვებპორტალ humanrights.ge-სთანაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა: „დაკითხვისას ნასვამ მდგომარეობაში ვიყავი. ჩვენება თავად დაწერეს და ხელი მომაწერინეს. მე არაფერი დამინახავს. ძალიან ნასვამი ვიყავი, როცა საღამოთი მოვიდნენ და წამიყვანეს. მგონი, ბირჟიდან წამიყვანეს. სიმართლე გითხრათ, აღარც მახსოვს. მეორე დღეს, დილით ჩემთან სამსახურში მოვიდნენ, ჩვენება წამიკითხეს და მითხრეს, რომ არაფერი მოხდებოდა, თუ ამ

[20] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18002&lang=geo
[21] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18098&lang=geo

ჩვენებას ხელს მოვაწერდი“[22]. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გორელიშვილის ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის გამო მისი დაკითხვა სასამართლო პროცესზე ორჯერ გადაიდო[23].

გიორგი გორელიშვილის შვილის, ეკა გორელიშვილის განცხადებით, როცა მამის მიერ ჩვენების მიცემის შესახებ გაიგო, პოლიციაში წავიდა, რათა მომხდარი გაერკვია. „ვიკითხე, თუ რატომ დაკითხეს მამაჩემი ნასვამ მდგომარეობაში. პოლიციამ ასე მიპასუხა: „მამაშენს თავზე რატო ახტები?!“ გამომძიებელმა კაკაბაძემ დამამშვიდა და ჩემი შვილის ჩამოყვანაში (რომელიც გაშორებულ მეუღლესთან იმყოფება) დახმარებას შემპირდა“, - ამბობს ეკა გორელიშვილი[24].

25 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა შმაგი პაპიძე - ინსპექტორ-გამომძიებელი - რომელმაც გიორგი გორელიშვილი დაკითხა. სასამართლო პროცესზე პაპიძემ დაკითხვის ზუსტი თარიღი ვერ გაიხსენა. აღსანიშნავია, რომ თარიღი არც დაკითხვის ოქმზეა მითითებული, რაც ინსპექტორ-გამომძიებელმა ტექნიკური ხარვეზით ახსნა. შმაგი პაპიძის თქმით, გორელიშვილი საკუთარი ნებით მივიდა ასპინძის რაიონის სამმართველოში. დაკითხვა კი საპროცესო ნორმების სრული დაცვით მიმდინარეობდა. მისი თქმით, მოწმე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა, ჩვენება საღ გონებაზე წაიკითხა და ხელი მოაწერა.

აღნიშნულ საქმეში სამართალდამცავი პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებში აშკარად შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების - ნიშნები (სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 333-ე მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მე-17 მუხლის თანახმად, პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ქმნიდა აღნიშნული ვარაუდის საფუძველს, პირიქით, მტკიცებულებების თანახმად, იქმნებოდა ეჭვი, რომ ლელა შველიძე თავად იყო შევიწროების მსხვერპლი. შემაშფოთებელია მთავარი მოწმისა და მისი ოჯახის განცხადებები პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლაზე. სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის თანახმად, სამართალდამცავი პირების მიერ მოტყუებით ან სხვა უკანონო ქმედებით ჩვენების მიცემის იძულება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. სამართალდამცავი პირების მხრიდან მოწმე გიორგი გორელაშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში ასევე გამოვლინდა აღნიშნული დანაშაულის ნიშნები.

სსსკ-ის 37-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. სამართალდამცავებმა სრულიად

[22] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18002&lang=geo
[23] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18002&lang=geo
[24] *იგივე*

უგულვებელყვეს აღნიშნული პრინციპი ლელა შველიძის საქმეში. ისინი ვალდებულნი იყვნენ, ინტერესი გამოეჩინათ და გამოეკვლიათ ლელა შველიძის წინააღმდეგ განხორციელებული სავარაუდო შევიწროების ფაქტები, რომლებსაც მისი მეზობლებიც ადასტურებდნენ. მათ არანაირი ინტერესი არ გამოიჩინეს და არ განახორციელეს შესაბამისი ქმედებები აღნიშნული საკითხების გამოსაკვლევად. ასევე, სრულფასოვნად არ გამოიკვლიეს და მხედველობაში არ მიიღეს ლელა შველიძეზე მიყენებული სავარაუდო ფიზიკური დაზიანება.

იმ გარემოებების უსაფუძვლოდ იგნორირება, რომელიც მეტყველებდა ლელა შველიძის უდანაშაულობაზე, მიუთითებს, რომ გამოძიება წარიმართა მიკერძოებით და არაობიექტურად.

ლელა შველიძის წინააღმდეგ საქმის აღძვრა ხელშესახები მტკიცებულებების გარეშე ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ის სამართლებრივი დევნის ობიექტი გახდა მისი რელიგიური კუთვნილების გამო. სსკ-ის 53-ე მუხლის მე 3[1] მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენა პირის რელიგიური კუთვნილების გამო ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა.

2015 წლის 15 იანვარს, მოსამართლე გიორგი ლონდარიძემ ლელა შველიძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა (იხილეთ დანართი 3).

მიმდინარე წლის 12 იანვარს, ლელა შველიძის საქმეზე ასპინძის პოლიციის მიერ განხორციელებულ დარღვევებთან დაკავშირებით, სამცხე–ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ ასპინძის რაიონული სამმართველოს იმ თანამშრომლების სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე დაიწყო გამოძიება, რომლებიც შველიძის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებდნენ[25].

გამოძიება არ დაწყებულა იმ პროკურორის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც აღნიშნულ საქმეში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სამოხელეო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ლელა შველიძისა და მისი მეუღლის განცხადებით, პროკურორი ოთარ სანდოძე არწმუნებდა ლელა შველიძეს, ხელი მოეწერა განრიდებაზე და რომ, ამის გამო პრობლემები არ შეექმნებოდა. მათი განცხადებით, მთავარი მოწმე, გიორგი გორელაშვილი, მას შემდეგ დაიკითხა, რაც ლელა შველიძემ განაცხადა უარი განრიდებაზე. ის ფაქტი, რომ გიორგი გორელიშვილის დაკითხვის ოქმზე არ არის მითითებული მისი დაკითხვის თარიღი, რაც გამომძიებელმაც აღიარა, ამყარებს აღნიშნულ ეჭვს. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ლელა შველიძეს სთავაზობდნენ განრიდებას ისე, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენა გონივრული მტკიცებულებებით არ იყო დასაბუთებული. პროკურორის მიერ

[25] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18098&lang=geo

გამოძიების პროცესის სავარაუდოდ არაობიექტურად და მიკერძოებით ხელმძღვანელობაზე ასევე მიუთითებს იმ მტკიცებულებების უსაფუძვლოდ უგულებელყოფა, რომლებიც აჩვენებდნენ ლელა შველიძის სავარაუდო შევიწროების ფაქტებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, გამოიძიოს აღნიშნული საქმე. საქმის იმ უწყების მიერ გამოძიება, რომლის თანამშრომლებმა ჩაიდინეს სავარაუდო დანაშაული, ეწინააღმდეგება ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების პრინციპს. ეფექტური გამოძიების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია გამოძიების წარმოება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ, რაც მოიცავს როგორც პიროვნულ, ასევე სტრუქტურულ დამოუკიდებლობას. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციით, იმ საქმეების გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს სამართალდამცავების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, გამოძიების წარმოების მიზნით უნდა გადაეცეს საქართველოს მთავარ პროკურატურას[26].

- ❖ ფლატის მეჩეთის საქმე

2014 წლის 25 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა ისტორიული მეჩეთი სოფელ ფლატეში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, რომელიც ამჟამად ნანგრევების სახით არის შემორჩენილი. სოფელ ფლატეში ვიზიტი მონიტორინგის ჯგუფმა გადაწყვიტა ადიგენის მუნიციპალიტეტის მეზობელ სოფლებში, მოხესა და ჭელაში მცხოვრები მუსლიმი თემისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ისტორიული მეჩეთის დანგრევას ორგანიზება გაუწია ზარზმის მონასტრის წინამძღვარმა, ნიკოლოზ გეწაძემ, სამშენებლო მასალა კი ზარზმის მონასტრის დამხმარე ნაგებობების საშენ მასალად იქნა გამოყენებული. მათივე განცხადებით, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა, რომელიც სოფელში უმცირესობას წარმოადგენს, უარყოფს აღნიშნულ ინფორმაციას, რადგანაც ისინი უფრთხიან დაპირისპირებას ადგილობრივ მართლმადიდებლებთან, რომლებიც სოფელში უმრავლესობას წარმოადგენენ. ფლატეში ვიზიტისას მონიტორინგის ჯგუფი გაესაუბრა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას, რომლებიც მართლაც უარყოფენ მეჩეთის დანგრევის ფაქტს, თუმცა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები სწორედ აღნიშნულზე მეტყველებს[27].

აღნიშნული საკითხი თავის დროზე შეისწავლა სახალხო დამცველის ოფისმაც. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელის, ბექა მინდიაშვილის ინფორმაციით, მათ ნახეს წაღებული ქვები და ესაუბრნენ მონასტრის

[26] გვ. 63; http://ombudsman.ge/uploads/other/1/1702.pdf
[27] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo

ერთ-ერთ სასულიერო პირს, რომელმაც დაადასტურა, რომ მეჩეთის ქვები საშენ მასალად გამოიყენეს. ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას ბექა მინდიაშვილმა აღნიშნა: „მართლმადიდებელი ქართველების ნაწილის აზრით, ქართულ ქრისტიანულ მიწაზე მეჩეთი არ უნდა ფუნქციონირებდეს და ქართველი აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა იყოს. ამ დამოკიდებულებების შედეგად, ჩნდება ისლამოფობია და აგრესია, რაც შემდგომ როგორც სიტყვიერ შეურაცხყოფებში, ასევე ექსტრემისტულ ქმედებებში გამოიხატება. ერთ-ერთი სწორედ ფლატეში მომხდარი შემთხვევა იყო, როცა ზარზმის მონასტრის საძმომ თვითნებურად მეჩეთის ნგრევა დაიწყო, რათა ამ ქვებით სენაკი აეშენებინათ. მე და ჩემმა თანამშრომლებმა ვნახეთ წაღებული ქვები. ჩემი თანამშრომელი ელაპარაკა მონასტრის ერთ-ერთ სასულიერო პირს და მან დაადასტურა, რომ მეჩეთის ქვები წაიღეს და საშენ მასალად გამოიყენეს. ჩვენი მიმართვების შედეგად, ეს პროცესი შეჩერდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სახალხო დამცველი ითხოვდა, დაწყებულიყო გამოძიება, იგი არ დაწყებულა. რაღაც პროცედურები ჩატარდა, მაგრამ პროცესი არ გაგრძელებულა. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ ფაქტებზე ხელისუფლებისა და სამართალდამცავების მხრიდან რეაგირება მყისიერი და ადეკვატური იყოს. მეორე მხრივ, უკეთესია, რომ ეკლესიასა და მუსლიმურ თემს შორის მუდმივად არსებობდეს დიალოგი. ეკლესიამ უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიის მიმართ და შეწყვიტოს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა დევნისკენ და ჩაგვრისკენ მოწოდებები“[28].

სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „2007 წლიდან მოკიდებული, მას შემდეგ, რაც ადიგენის რაიონის სოფელ ფლატეში ზარზმის მონასტრის მრევლის ერთმა ნაწილმა და ზოგიერთმა ადგილობრივმა მოსახლემ დაიწყო უმოქმედო მეჩეთის დაშლა, რათა სამშენებლო მასალა ზარზმის მონასტრის ტერიტორიაზე სამლოცველოს ასაგებად გამოეყენებინათ, აჭარაში მცხოვრებმა მუსლიმებმაც და აჭარიდან გადმოსულმა ეკომიგრანტებმა ხმამაღლა დაიწყეს საუბარი მათ წინაშე არსებულ სირთულეებზე“[29].

მეჩეთის დანგრევის ფაქტი დაადასტურა ზარზმის მონასტრის წინამძღვარმაც. „ხალხის მოთხოვნა იყო, რომ იქ იმ შენობის დემონტაჟი მომხდარიყო, რადგან წვიმის გამო იშლებოდა და ბავშვებს ქვები თავში არ მოხვედროდათ. გარდა ამისა, მას მეჩეთად არ იყენებდნენ, იქ ღორები იყვნენ და სავსე იყო ნაკელით“, - განაცხადა მან გასული წლის ზაფხულში, გაზეთ „სამხრეთის კარიბჭისთვის“ მიცემულ ინტერვიუში[30].

[28] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo
[29] გვ. 209; http://ombudsman.ge/uploads/other/0/80.pdf
[30] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გადაიღო სოფელში არსებული ისტორიული მეჩეთის ფოტოები. ნაგებობას ეტყობა, რომ ფუნქციურად მეჩეთია და ძალიან ჰგავს მეზობელ სოფელ მოხეში არსებულ სადავო შენობას, რომლის წარმომავლობის საკითხს ამჟამად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო სწავლობს. შენობები მსგავსი ქვით არის ნაშენები და არქიტექტურაც მსგავსია.

ფლატის ისტორიული მეჩეთის მდგომარეობა/ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო.

ისტორიული მეჩეთი სავალალო მდგომარეობაშია. მას დანგრეული აქვს სახურავი, სახურავის ნარჩენები კი შენობაშია ჩახერგილი. შენობის მარჯვენა გვერდითი კედელი სრულიად მოხსნილია, უკანა კედელი კი ჩამონგრეული. თლილი ქვების ნაწილი ადგილზეა მიმოფანტული, ნაწილი კი, სავარაუდოდ, წაღებულია.

2014 წლის 17 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა გამოძიების დაწყება სოფელ ფლატეში არსებული ისტორიული მეჩეთის სავარაუდო განზრახ დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ ფაქტების შესწავლა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. თუმცა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქმე გამოსაძიებლად ადიგენის რაიონის პოლიციის სამმართველოს გადასცა.

2014 წლის 23 დეკემბერს, ადიგენის პოლიციის სამმართველოს გამოძიებელი ბესიკ აფრიამაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს, თამარ ავალიანს და უხეში ტონით მოსთხოვა მას ადიგენის პოლიციაში ჩასვლა ფლატეს საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით დასაკითხად, გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი, იძულების წესით მიყვანით დაემუქრა[31].

24 დეკემბერს მონიტორინგის ჯგუფი გაემგზავრა ადიგენის რაიონულ პოლიციაში, სადაც თამარ ავალიანი მოწმის სახით დაიკითხა. დაკითხვა მიმდინარეობდა საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევებით. დაკითხვისას გამომძიებელი ბესიკ აფრიამაშვილი ხშირად ეკონტაქტებოდა უცნობ პიროვნებებს ტელეფონით და იღებდა დირექტივებს დაკითხვის პროცესთან დაკავშირებით. თამარ ავალიანმა ამასთან დაკავშირებით შენიშვნა დააფიქსირა დაკითხვის ოქმში, რამაც გამომძიებლის გაღიზიანება გამოიწვია. დაკითხვა გაგრძელდა სამ საათზე მეტ ხანს. თამარ ავალიანთან საუბრისას გამომძიებელმა ბესიკ აფრიამაშვილმა განაცხადა, რომ მისი მამა-პაპა ოდითგანვე ებრძოდა მუსლიმებს და გამოთქვა წყენა, რომ „მართლმადიდებელთა უფლებებს არავინ იცავს“. მისი განცხადებით, ადიგენის რაიონში მცხოვრები მუსლიმები აზვიადებენ პრობლემებს, სინამდვილეში კი მათ უფლებებს არავინ არღვევს.

აღნიშნული განცხადებები წარმოაჩენს გამომძიებლის მიკერძოებულ დამოკიდებულებას და არსებითად არღვევს გამოძიების წარმოების ფუნდამენტურ პრინციპს - ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს მთავარ პროკურატურას დაინტერესდეს აღნიშნული საქმით და პასუხისგებაში მისცეს სამართალდამრღვევი პირები.

[31] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo

24 დეკემბერს, თამარ ავალიანის დაკითხვის დასრულებიდან 10 წუთში, ადიგენის პოლიცია დაუკავშირდა სამცხე-ჯავახეთის მუფთს, მამუკა ვაშაყმაძესა და ჭელას მეჩეთის იმამს, ჯამბულ აბულაძეს და დაიბარა ისინი პოლიციაში მოწმის სახით დასაკითხად. ადვოკატის მოსაყვანად მათ მხოლოდ 3 საათი მისცეს, რაც წარმოადგენს არაგონივრულ ვადას ადვოკატის მოსაძიებლად. მონიტორინგის ჯგუფის განცხადების შემდეგ, რომ ისინი დაუკავშირდებოდნენ საინფორმაციო საშუალებებს და აცნობებდნენ აღნიშნული დარღვევის შესახებ, პოლიციამ შეცვალა გადაწყვეტილება და მამუკა ვაშაყმაძესა და ჯამბულ აბულაძეს მიეცათ ვადა 25 დეკემბრის 12 და 14 საათამდე, რათა ადვოკატთან ერთად გამოცხადებულიყვნენ ადიგენის პოლიციაში მოწმის სახით.

გამომძიებელთა მხრიდან აღნიშნულ საქმეში დაფიქსირებული დარღვევების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს მთავარ პროკურატურას დაინტერესდეს აღნიშნული საქმით და განახორციელოს ეფექტური გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეშფოთებას ასევე იწვევს უფლებადამცველის მოწმედ დაკითხვას იმ საქმეზე, რომლის მონიტორინგსაც იგი ახორციელებს. ორგანიზაციის იურისტები გამოძიების დაწყების მოთხოვნით ხშირად მიმართავენ პროკურატურას, მაგრამ იმავე საქმეებზე მოწმეებად, როგორც წესი, არ იკითხებიან. ადიგენის რაიონის პოლიციის გამომძიებლის ქმედებიდან იკვეთება საფრთხე, რომ საგამოძიებო ორგანოებმა პრაქტიკად დანერგონ უფლებადამცველების დაკითხვა მათ მიერ წარმოებულ საქმეებზე[32].

კონკრეტულმა შემთხვევამ ნათლად აჩვენა, რომ მსგავსი პრაქტიკის დანერგვის შემთხვევაში, მოწმედ დაკითხული უფლებადამცველი ადვოკატი ფაქტობრივად ვეღარ მონაწილეობს იმავე საქმეში ადვოკატად. 24 დეკემბერს მოწმედ დაკითხულმა თამარ ავალიანმა ვეღარ შეძლო სამცხე-ჯავახეთის მუფთს, მამუკა ვაშაყმაძისა და ჭელას მეჩეთის იმამის, ჯამბულ აბულაძის დაცვა, რის გამოც ორგანიზაციამ მეორე დღეს სხვა იურისტი გამოყო მოწმედ დაკითხვის პროცესში მუსლიმთა თემის ლიდერების ინტერესთა დასაცავად.

სოფელ ფლატეში ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გაძლიერებული ისლამოფობია ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილში, რომლებიც თავს მართლმადიდებლებს მიაკუთვნებენ, მათ შორის, ისტორიული ფაქტების დამახინჯებულად ან შეუსწავლელი სახით გავრცელების გზით. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი სასულიერო ლიდერები ქადაგებენ, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეჩეთები მუსლიმებმა ამ რეგიონში არსებული ძველი ეკლესიის ქვებით

[32] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18049&lang=geo

ააშენეს[33]. სოფელ ფლატეს ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგებლებთან დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ გასულ საუკუნეში, როდესაც მაჰმადიანი მესხები მიმდებარე სოფლებში მეჩეთებს აშენებდნენ, მშენებლობისას მათ სწორედ ძველი ეკლესიების სამშენებლო მასალა გამოიყენეს. ფლატის მართლმადიდებელი მრევლის წარმომადგენელმა სოფლის განაპირას ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფს უჩვენა ეკლესიის ძველი ნანგრევები, სადაც შემორჩენილია მართლმადიდებლური საკურთხევლის ნაშთი და რამდენიმე თლილი ქვა. ამ ქვების ფერი უფრო მუქია და განსხვავდება მეჩეთების შენობის ღია მოვარდისფრო ქვებისგან. ამ განსხვავების მიუხედავად, მართლმადიდებელი მოქალაქე ამტკიცებდა, რომ გასული საუკუნის დასაწყისში, მაჰმადიანმა მესხებმა ფლატის მეჩეთის სამშენებლო მასალად სწორედ ამ ნაეკლესიარიდან წაღებული ქვები გამოიყენეს.

მსგავსი დეზინფორმაციის შედეგია მართლმადიდებელი მრევლისა და სასულიერო პირების მიდგომა, „დაიბრუნონ“ ეკლესიის ქვები. სწორედ ასეთი მიდგომის გამოხატულებაა ფლატის მეჩეთიდან წაღებული ქვების გამოყენება ზარზმის მონასტრის დამხმარე ნაგებობების ასაშენებლად.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მუსლიმთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ისტორიულ მეჩეთებს მიანიჭოს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის სტატუსი, რათა არ მოხდეს მათი უკანონო ხელყოფა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ისლამოფობიის აღმოფხვრის მიზნით, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სპეციალური საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამები.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სპეციალური ტრენინგების ჩატარება საჯარო მოხელეებისა და სამართალდამცველებისათვის რელიგიური ნეიტრალიტეტისა და უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით.

- **რელიგიური დაპირისპირება ჭელასა და მოხეში**

2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურმა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი განახორციელა. მინარეთის დემონტაჟის ფორმამ და შექმნილმა კონფლიქტურმა ვითარებამ არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ცენტრის შეშფოთება გამოიწვია[34].

[33] http://news.ge/ge/news/story/109834-meufe-teodore-sofel-mokheshi-arsebuli-sadavo-shenobis-sapatriarqostvis-gadatsemas-moitkhovs
[34] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17043&lang=geo

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა განაცხადა, რომ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მინარეთის შემოტანისას დოკუმენტაცია არ იყო წესრიგში და ამ პრობლემის შესწავლის მიზნით საჭირო იყო მინარეთის დემონტაჟი და მისი თბილისში გადატანა[35].

სახალხო დამცველის შეფასებით, სოფელ ჭელაში განთავსებული მინარეთის დემონტაჟი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით განხორციელდა.

„საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მინარეთის დემონტაჟის კანონიერება. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან ი. მ. ჯ.ა.-ს მიერ 2013 წლის 14 ივლისს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაფორმებული საქონლის (მინარეთის) გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმება მიზანშეუწონელი იყო. საქონლის განბაჟების მომენტში, განსაბაჟებელ საქონელს (მინარეთს) თავად შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა პირმა მიანიჭა სასაქონლო კოდი, რომელიც თავისუფლდებოდა იმპორტის გადასახადისგან. სწორედ ამ სასაქონლო კოდის სისწორის დადგენა გახდა მინარეთის დემონტაჟის ოფიციალური საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის ვალდებულებას წარმოადგენდა საქონლის განბაჟებისას დეტალურად შეესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, მოეთხოვა ექსპერტიზა, რათა განესაზღვრა საქონლის შესაბამისი კოდი, რაც ამ შემთხვევაში არ განხორციელებულა. გარდა ამისა, დემონტაჟის შემდგომ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, საქონელს (მინარეთს) მიენიჭა კოდი, რომელიც „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბერს დადებული საერთაშორისო შეთანხმების მე-4 და მე-16 მუხლების თანახმად, თუკი წარმოშობილი იყო თურქეთის რესპუბლიკაში, გათავისუფლებული იყო იმპორტის გადასახადისაგან, რაც ი.მ. ჯ.ა.-ს მხრიდან დარღვევას გამორიცხავდა. ამავდროულად, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის 115-ე მუხლი სსიპ შემოსავლების სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას, საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი საბაჟო შემოწმებისას განახორციელოს დეკლარანტის საქმიანობაზე დაკვირვება, დაათვალიეროს საქონელი, აიღოს სინჯი ანდა ნიმუში. შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურს არ გააჩნდა კანონისმიერი უფლებამოსილება განეხორციელებინა მინარეთის დემონტაჟი“, - ვკითხულობთ სახალხო დამცველის ანგარიშში[36].

[35] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18032&lang=geo
[36] გვ. 303, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf

მინარეთის დემონტაჟის გასაპროტესტებლად მეჩეთთან მუსლიმები შეიკრიბნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ჭელაში მინარეთთან მისასვლელი გზა გადაკეტილი ჰქონდათ, რასაც მუსლიმი მრევლის აღშფოთება და კონფლიქტი მოჰყვა. პოლიციამ აქციის 22 მონაწილე დააკავა. 13 პირი დაკითხვის შემდეგ გათავისუფლდა. 6 პირს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო 3 პირს სისხლისსამართლებრივი, რომლებსაც რამდენიმე თვის შემდეგ ბრალი მოეხსნათ[37].

მუსლიმების განმარტებით, შსს-ს თანამშრომლები აგრესიულად იყვნენ განწყობილები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფთან საუბრისას, ჭელის მრევლმა, ოთარ მარკოიძემ აღნიშნა: „ძირს დამაგდეს და წიხლები მირტყეს. იმდენი შევძელი, რომ სახე ხელებით დავიფარე. ნამდვილად ერთი სიკვდილი ვნახე. შემდეგ ხელები გადამიგრიხეს, გამათრიეს და მანქანაში წიხლებით შემტენეს. სიტყვიერი შეურაცხყოფაც მომაყენეს. თათარს მეძახდნენ. ტანსაცმელი დახეული მქონდა“[38].

შემაშფოთებელია ჩატარებული ოპერაციის მასშტაბები და სახელმწიფოს მიერ დემონტაჟისათვის გამოყენებული რესურსები. ადგილობრივების განცხადებით, ოპერაციაში მონაწილეობდა 200-მდე სამართალდამცავი, მინიმუმ ერთი ვერტმფრენი, 45-მდე მაღალი გამავლობის ავტომობილი, სატვირთო ტრაილერი, ამწე. სპეციალური დანიშნულების რაზმი სამი საათის განმავლობაში აკონტროლებდა სოფელს, სადაც მხოლოდ 50-მდე ოჯახი ცხოვრობს[39].

მინარეთის დემონტაჟი წარმოადგენდა უკანონო აქტს, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, რელიგიის თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სოფელ ჭელაში მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია არ ემსახურებოდა არანაირ ლეგიტიმურ ინტერესს, შესაბამისად, წარმოადგენდა მუსლიმთა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უხეშ შელახვას.

მინარეთის დემონტაჟსა და მუსლიმთა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, სამოქალაქო თანასწორობისა და შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა,

---

[37] გვ. 302, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf
[38] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18032&lang=geo
[39] https://tdigeorgia.wordpress.com/2013/08/29/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA/

პაატა ზაქარეიშვილმა მედიასაშუალება „ნეტგაზეთთან“ საუბარში განაცხადა: „თუ მეკითხებით, როგორ უნდა მოიქცნენ [აქციის] მონაწილეები, უნდა დაიშალონ აუცილებლად... სახლებში წავიდნენ. უნდა თქვან, რომ მართლაც მათი მოქმედებები არ შეესაბამებოდა კანონს... აწი, მომავალში ისინი ამას გააკეთებენ კანონის ფარგლებში“[40].

მშვიდობიანი შეკრების უფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შემაშფოთებელია სახელმწიფო მინისტრის მხრიდან მიერ აღნიშნული უფლების უგულებელყოფა. მაღალი თანამდებობის პირები უნდა აცნობიერებდნენ ფუნდამენტური უფლებების შინაარსსა და მნიშვნელობას.

2013 წლის 27 ნოემბერს კი ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჭელაში მინარეთის კონსტრუქციის მშენებლობის ნებართვა გასცა და მინარეთიც თავის ადგილს იმავე ღამით დაუბრუნდა. მუსლიმები აცხადებენ, რომ მინარეთი დაზიანებული დააბრუნეს და მისი შეკეთება 2500 ლარი დაჯდა. ამავე დროს, მინარეთის სრულად შეკეთება ვერც მოხერხდა. დაზიანება დააფიქსირეს ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმაც.

ჭელის მეჩეთის მინარეთი ხელისუფლებამ დაზიანებული დააბრუნა / ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო

2014 წლის დეკემბერში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა ჭელასა და მოხეში, სადაც შეხვდა და გაესაუბრა

[40] http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/22880/

დაპირისპირებულ მხარეებს. მონიტორინგის ჯგუფთან სამცხე-ჯავახეთის მუფთმა, მამუკა ვაშაყმაძემ განაცხადა: „მე და ჯამბულ აბულაძე არაოფიციალურად დაგვკითხეს. ჩემ მიმართ იყო ძალდატანება, რომ მინარეთი დამეშალა, რასაც არასოდეს დავთანხმდებოდი. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც მომაყენეს, მაგრამ ამას ვერ დავამტკიცებ, რადგან დაკითხვისას მარტო ვიყავი. ცალკე ოთახში შემიყვანეს და მითხრეს, თუ 2-3 საათში მინარეთის დემონტაჟს არ მოვახდენდი, ამას თავისი ძალით გააკეთებდნენ. პასუხისმგებლობას კი მე მაკისრებდნენ. ამ ძალადობაში უხეშად ერეოდა უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, აკაკი მაჭუტაძე, რომელიც ამჟამად მხარის გუბერნატორია“.

ადიგენის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი დაპირისპირების კერა სოფელი მოხეა, სადაც მუსლიმი და მართლმადიდებელი მოსახლეობა სოფლის ცენტრში არსებული შენობის წარმომავლობაზე დაობს.

პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი 2014 წლის ოქტომბერში იჩინა, როდესაც ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სადავო შენობაში ბიბლიოთეკის მოწყობის გადაწყვეტილება მიიღო. ვითარება განსაკუთრებით 22 ოქტომბერს დაიძაბა, როდესაც შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მუშები გამოჩნდნენ შენობის დასაშლელად, რაც მუსლიმმა მოქალაქეებმა გააპროტესტეს. სამართალდამცავებმა შენობის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს, რათა მუშებს თავისუფლად ემუშავათ. ამას მუსლიმი მრევლის მღელვარება მოჰყვა. პოლიციამ აქციის დასაშლელად ძალა გამოიყენა[41].

მოხის სადავო შენობა/ადამიანის უფლებათა ცენტრის ფოტო

[41] http://ombudsman.ge/ge/news/sofel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebi-xelisuflebis-mxridan-adekvatur-reagirebas-sachiroebs.page

მოხეში არსებული მდგომარეობა შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა. „ადგილობრივი მუსლიმების ახსნა–განმარტებებით დასტურდება, რომ 22 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ. დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმები კი ადასტურებს, რომ დაკავებულ პირებს სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანებები“, - ვკითხულობთ მოხის მოვლენებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში[42].

სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, დაუყოვნებლივ დაეწყოთ გამოძიება პოლიციელების მიერ 22 ოქტომბერს სავარაუდო ძალის გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით და უმოკლეს ვადებში გაეცნოთ საზოგადოებისათვის გამოძიების შედეგები[43]. გამოძიების შედეგები საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია[44].

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის იურისტის, თამთა მიქელაძის განცხადებით, გამოძიება არასამართლიანად მიმდინარეობს, რადგან შსს-ს თანამშრომლების სამართალდარღვევის ფაქტებს ისევ შსს იძიებს: „ჩვენი ორგანიზაცია პროკურატურას მიმართავს და შსს-ს თანამშრომლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და უკანონო დაკავებების ფაქტებზე რეაგირებას ითხოვს. თუმცა, პრობლემა ის არის, რომ პროკურატურამ საქმე ისევ შსს-ს დაუბრუნა და ახლა შსს-ს თანამშრომლების სამართალდარღვევის ფაქტებს ისევ შსს იძიებს, რაც ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპს არღვევს”[45].

მოხეში არსებული სადავო შენობის სტატუსის საკითხს ამჟამად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო სწავლობს. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2014 წლის ნოემბერში განცხადებით მიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და ითხოვა ინფორმაცია განხორციელებული სამუშაოს შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

---

[42] http://ombudsman.ge/ge/news/sofel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebi-xelisuflebis-mxridan-adekvatur-reagirebas-sachiroebs.page

[43] *იგივე*

[44] გვ. 3, რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიცია, 2014 წლის 2 დეკემბერი http://www.scribd.com/doc/249013556/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#scribd

[45] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18032&lang=geo

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, მოხეში არსებული შენობა წარმოადგენს ისტორიულ მეჩეთს[46]. „ჩვენ ჩავედით შემთხვევის ადგილზე და ვნახეთ, რომ ამ შენობას აქვს მინარეთის ასასვლელი, მონიშნულია ის ადგილიც, საიდანაც მოლა რიტუალს ატარებს. იგი მექას მიმართულებით არის აშენებული. ასევე, შენობის ეზოში არის მუსლიმთა სასაფლაო. ერთი შეხედვით, შენობას მეჩეთის კონსტრუქცია აქვს. თუმცა, რა თქმა უნდა, ამას ექსპერტული შესწავლა სჭირდება. მიმაჩნია, რომ შენობა ამ ფორმით უნდა შენარჩუნდეს, მოხდეს მისი კონსერვაცია და ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნება“, - აცხადებს ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას თამთა მიქელაძე[47].

მოხეში მცხოვრები ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის განცხადებებში შეიმჩნევა სიძულვილის ენის ნიშნები მუსლიმი მოსახლეობის მიმართ, რაც გამოიხატება მათ მიერ გამოყენებულ დამამცირებელ ტერმინებსა და დისკრიმინაციულ გამონათქვამებში.

„მალე თურქული რელიგიური ექსპანსია მოხდება. დიდი ხანი ცდა არ უნდა. თურქები თანხას იმისთვის ხარჯავენ, რომ გააძლიერონ აქაური მუსულმანობა. რელიგია უკვე პოლიტიკურ დონეზეა ასული. თანხები შემოდის თურქეთიდან, მაგრამ ამას ვერ დავამტკიცებ. ფაქტი არა მაქვს. ეგ სახელმწიფოსა და უშიშროების საქმეა. ერთი მეჩეთი რომ აშენდეს და მოეწყოს, სულ მცირე, 100 ან 200 ათასი ლარი ხომ მაინც არის საჭირო?! ახლა 200 000 გაყავით 30 ოჯახზე, რამხელა თანხა გამოდის. ამხელა თანხის აგროვებას ერთი სოფლის 30 ოჯახი შეძლებს?“ - განაცხადა ალექსი კობიაშვილმა, მოხის ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას.

მოხის ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მუსლიმურ მეჩეთებს ხმის გამაძლიერებლები აქვს დამონტაჟებული, რაც მათ აწუხებთ[48]. სამცხე-ჯავახეთის მუფთის, მამუკა ვაშაყმაძის განცხადებით, ისინი ინციდენტის შემდეგ მოხეში მიკროფონებს მხოლოდ 5 წუთით რთავენ, პარასკევის ლოცვის დროს, ხოლო ჭელაში, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, ხმის გამაძლიერებლები საერთოდ არ არის დამონტაჟებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ხმის გამაძლიერებლებს მართლმადიდებლური ეკლესიებიც იყენებენ და ეს მათ არ ეკრძალებათ. ამ მხრივ, სხვადასხვა კონფესიების სამლოცველოებისთვის შემზღუდველი კანონმდებლობა არ არსებობს.

[46] http://emc.org.ge/2014/10/23/gancxadeba-moxes-incidenttan-dakavshirebit/
[47] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18032&lang=geo
[48] http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1028&lang=geo

2015 წლის თებერვალში, სოფელ მოხეში გახსნილი პოლიციის ახალი განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა გელა კოხოძე, რომელიც წარმოადგენდა ადიგენის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელს ჭელას მინარეთის დემონტაჟის დროს[49]. მუსლიმი თემის განცხადებით, იგი გამოირჩევა მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულით. მათი ინფორმაციით, გელა კოხოძე აქტიურობდა ასევე მოხეში 2014 წლის 22 ოქტომბერს მუსლიმების საპროტესტო აქციის დაშლისას, სადაც, სახალხო დამცველის შეფასებით, გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ.

- **ჩახერგილი გზა ჭელის მეჩეთთან**

2014 წ. 26 დეკემბერს, ადიგენის რაიონის სოფელ ჭელის მეჩეთში პარასკევის ლოცვაზე მისულ მუსლიმებს მეჩეთის შესასვლელ ჭიშკართან ხის მორები დახვდათ. ამის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრს ინფორმაცია და ფოტოები მიაწოდა ჭელის მეჩეთის იმამმა, ჯამბულ აბულაძემ. ფოტოები ნათლად აჩვენებს, რომ ხის მორებით ჩახერგილია მეჩეთის მთავარი შესასვლელი ჭიშკარი.

ჭელას მეჩეთის წინამდებარე ტერიტორია/ფოტო: ჯამბულ აბულაძე, ჭელას მეჩეთის იმამი.

ჯამბულ აბულაძის ინფორმაციით, ფაქტის გახმაურებიდან დაახლოებით ერთ საათში უცნობმა პირებმა მეჩეთის ჭიშკარს შეშა მოაცილეს და შესასვლელი გაასუფთავეს.

[49] http://sknews.ge/index.php?newsid=4897#.VOsDlfmUfgg

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწის, ლაზარე ჩილინგარაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტმა დახმარება, შეშის სახით, მართლაც გამოჰყო. თუმცა, მისი თქმით, ამ შეშას მეჩეთთან არანაირი კავშირი არა აქვს.

„ჭელის მეჩეთთან მხოლოდ 3 კუბამეტრი შეშა იყო დაყრილი. ეს შეშა ჭიშკართან შესასვლელ გზას არ ხერგავდა და არც არაფრს უშლიდა ხელს. შეშა იქვე მცხოვრები ოჯახისთვის იყო გათვლილი. უბრალოდ, სამარშრუტო ტაქსმა ვეღარ დაძრა. ეს ფოტოებიც სპეციალურად გადაიღეს. ხომ იცით, რა სიტუაციაც არის სოფელში და ცდილობენ, გააღვივონ არსებული კონფლიქტი", - განაცხადა ლაზარე ჩილინგარაშვილმა humanrights.ge-სთან საუბრისას.

- **იმედის ფესტივალი**

2014 წლის 6-8 ივნისს, სპორტის სასახლეში დაგეგმილი იყო საერთაშორისო საევანგელიზაციო ღონისძიების - „იმედის ფესტივალის" გამართვა, რომელშიც ადგილობრივი და საერთაშორისო პროტესტანტული რელიგიური გაერთიანებები იღებდნენ მონაწილეობას. სპორტის სასახლის დირექციასთან ფესტივალის ორგანიზატორებმა დიდი ხნით ადრე გააფორმეს ხელშეკრულება და გადაიხადეს მომსახურების თანხა. ფესტივალის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, სპორტის სასახლის ერთ-ერთი ფლიგელის სახურავზე ხანძარი გაჩნდა, რის შემდეგაც ადმინისტრაციამ რელიგიურ გაერთიანებებს ფესტივალის ჩატარებაზე უარი უთხრა.

სახარების რწმენის ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა, ლელა ხონელიძემ, რომელიც ასევე ფესტივალის პიარ-მენეჯერს წარმოადგენდა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფთან განაცხადა: „ფესტივალამდე 4-5 დღით ადრე შენობაში მცირე ხანძარი გაჩნდა. ჩვენი ჯგუფი ამ პერიოდში დეკორაციებსა და განათებებზე მუშაობდა. მოკლე ჩართვა რომ მოხდა, ადმინისტრაციას მივუთითეთ, მაგრამ მათ ჩვენი შენიშვნა ყურად არ იღეს. ამ საქციელით კი ეჭვის მიზეზი დაგვიტოვეს. ამის შემდეგ დაახლოებით ერთ საათში მოკლე ჩართვა კვლავ განმეორდა, მყისიერი ქმედება ადმინისტრაციის მხრიდან არც მაშინ ყოფილა''.

ლელა ხონელიძის თქმით, მათ სპორტის სასახლის ადმინისტრაციას შესთავაზეს, რომ თავად მოიყვანდნენ სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ სპორტის სასახლეს ემასპინძლა ფესტივალისათვის: „ვუთხარით, რომ იმ ფართსაც არ გამოვიყენებდით, სადაც ხანძარი გაჩნდა. მაგრამ მათი პასუხი იყო - არა. გვითხრეს, რომ 4-5 დღე არაფერი ჩატარდებოდა. ფესტივალის მოსამზადებლად ამხელა რესურსი დავხარჯეთ და ბოდიშიც კი არავის მოუხდია. შემდეგ ექსპერტი მოიყვანეს და ხმამაღლა ალაპარაკებდნენ, იაფფასიან სცენებს დგამდნენ. ჩვენი ექსპერტიც არ შეგვაყვანინეს. სპორტის სასახლის ხანძრის შემდეგ

კი, თბილისში არსებულმა არცერთმა დარბაზმა არ მიგვიღო, დინამოსა და ლოკომოტივის სტადიონებიც ვცადეთ, თუმცა უშედეგოდ“.

აღნიშნულ ხანძართან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა, თემურ გიორგაძემ, რომლის თანახმადაც, ხანძარს მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია. „ხანძარი იყო გამთენიისას, სპორტის სასახლის ფოიეში რაღაც ნარჩენები იწვოდა. არაფერი დაზიანებულა სერიოზული, არც არავინ დაზარალებულა. ხანძრის ლიკვიდაცია მალევე მოხდა, რაც შეეხება მიზეზებს, ამას უკვე გამოძიება დაადგენს“, – განაცხადა თემურ გიორგაძემ ნეტგაზეთთან[50].

ნახანძრალი ადგილი სპორტის სასახლეში;

ფოტო: თაკო გეგელია, ნეტგაზეთი.

ლელა ხონელიძე ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფს იმ პრობლემებზეც ესაუბრა, რასაც ფესტივალის ორგანიზატორები სარეკლამო კამპანიის დროს გადააწყდნენ: „როდესაც პიარსა და გარე რეკლამებზე მიდგა საქმე, გარკვეულ წინააღმდეგობებს გადავაწყდით. ბევრ სარეკლამო კომპანიასთან ვითანამშრომლეთ, მაგრამ ყველაზე დიდი გართულება „აუთდორ.ჯი“-სთან თანამშრომლობას მოჰყვა. მათთან სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულება გვქონდა გაფორმებული. ერთ-ერთი იყო მეტროში სარეკლამო პლაკატებისა და ქუჩებში ბილბორდების განთავსება. თანხაც გადახდილი გვქონდა, ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ სამი დღის შემდეგ აეროპორტის გზიდან ჩვენი ბილბორდები გაქრა. სარეკლამო კომპანიას ამის მიზეზი როცა ვკითხეთ, გვიპასუხეს, რომ სხვა კომპანიის ადგილას გაგვიკრავს ბილბორდებიო. ოფიციალურ მიზეზად ეს დაასახელეს. თუმცა, სამი დღე იმ

[50] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32155/

ადგილას არაფერი გაკრულა და დავის შემდეგ ისევ ჩვენი დააბრუნეს“, - ამბობს ლელა ხონელიძე.

2015 წლის 13 თებერვალს, არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებებისა და სწავლების მონიტორინგის ცენტრმა (EMC), „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სახალხო დამცველს მიმართა განცხადებით, განიხილონ „იმედის საერთაშორისო ფესტივალის“ დაგეგმვის დროს კერძო პირების - სპორტის სასახლის ადმინისტრაციისა და სარეკლამო კომპანია, Outdoor-ის მიერ სახელშეკრულობო ვალდებულებების დროს რელიგიური ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები.

თამთა მიქელაძის თქმით, EMC-სთვის მიცემულ დეტალურ ახსნა-განმარტებაში თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსმა, თეიმურაზ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სპორტის სასახლეში გაჩენილი ხანძარი იმდენად სუსტი იყო, რომ მას პირობითად შეიძლება საშუალო ხარისხის ხანძარი ეწოდოს. „ახსნა-განმარტებაში მოწმე [თეიმურაზ გიორგაძე] აღნიშნავს, რომ მომეტებული საფრთხის მქონე შენობა-ნაგებობებში, თავის დაზღვევის მიზნით, ავტომატურად უშვებემ 10-11 სახანძრო მანქანას. სპორტის სასახლიდან 5-6 მანქანა (წყლის ცისტერნა) გაუხარჯავი დაბრუნდა. თ. გიორგაძე ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ გაჩენილ ხანძარს, მისი მასშტაბებისა და ხარისხიდან გამომდინარე, არ შეეძლო საფრთხე შეექმნა შენობის მდგრადობისთვის“, - აცხადებს თამთა მიქელაძე.

EMC-ის ინფორმაციით, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სპორტის სასახლის შენობაზე ხანძრის ზემოქმედების საკითხზე საბოლოო დასკვნა ხანძრიდან 27-ე დღეს მიიღო. 2014 წლის 30 ივნისით დათარიღებული დასკვნის შესაბამისად, შენობის მე-15 სექტორში გაჩენილმა ხანძარმა არ იქონია გავლენა რკინაბეტონის კონსტრუქციების მდგრადობასა და მზიდუნარიანობაზე.

აღნიშნულ დასკვნას წინ უსწრებდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 6 ივნისს გაცემული ე.წ. შუალედური დასკვნა, სადაც მითითებული იყო, რომ სპორტის სასახლის კონსტრუქციების მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩატარებული უნდა ყოფილიყო დეტალური ლაბორატორიული კვლევა, ხოლო დეტალური გამოკვლევის შედეგების მიღებამდე შენობის ექსპლუატაცია უნდა შეჩერებულიყო. სწორედ ამ დასკვნას იშველიებდა სპორტის სასახლის ადმინისტრაცია უახლოეს დღეებში შენობაში რაიმე ღონისძიების გამართვის შეუძლებლობის ასახსნელად.

EMC-ის შეფასებით, აღნიშნულ დოკუმენტში არ იყო წარმოდგენილი ექსპერტული შეფასება შენობის მდგრადობის კუთხით არსებულ სავარაუდო რისკებზე. „ხანძრის მცირე მასშტაბისა და ზედაპირული დაზიანების პირობებში დეტალური ლაბორატორიული კვლევის ჩატარების აუცილებლობის დასაბუთება, შენობის

ექსპლოატაციის შეჩერების ზუსტი ვადა, ისევე როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში იდენტური შეფასებების გაკეთების პრაქტიკა ბიუროს მხრიდან, საქმის განხილვის ფარგლებში დამატებით შესწავლას ითხოვს, რადგან მოსარჩელეებს ბიურომ შესაბამისი ინფორმაცია არ მიაწოდა“, - აღნიშნავს ორგანიზაცია სახალხო დამცველის მიმართ წარდგენილ განცხადებაში.

„სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ არ გაიზიარა ფესტივალის ორგანიზატორების მიერ შეთავაზებული არც ერთი შეთავაზება, რომელიც ხელშეკრულების გადარჩენისა და ვალდებულების შესრულებისათვის იყო აუცილებელი. სპორტის სასახლის დირექტორმა განმცხადებლებს, მათი არაერთი მიმართვის მიუხედავად, შენობაში არ ჩაატარებინა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომელიც მათ მოკლე ვადებში შენობის მდგრადობის შესახებ ექსპერტული დასკვნის მიღების შესაძლებლობას მისცემდა. განმცხადებლები უთითებდნენ, რომ ექსპერტების მიერ შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების დადასტურების შემთხვევაში, ისინი თავად იტყოდნენ უარს სპორტის სასახლის შენობაში ფესტივალის გამართვაზე. მოპასუხე ორგანიზაციის მხრიდან რელევანტურ პერიოდში (4-6 ივნისი) შენობაში ალტერნატიული ექსპერტების არ დაშვების გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა რაიმე გონივრულ ახსნასა და დასაბუთებას. 2014 წლის 6 ივნისის ე.წ. შუალედური დასკვნა კი, თავის მხრივ, არ წარმოადგენს შენობაში ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შეზღუდვის საფუძველს, რადგან დასკვნაში შენობის მდგრადობასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და შენობაში ინდივიდუალური პირების შესვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით მითითება არ არის გაკეთებული“, - აღნიშნულია EMC-ის მიერ ომბუდსმენის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში.

სპორტის სასახლის დირექციის მხრიდან შენობაში ალტერნატიული ექსპერტიზის უსაფუძვლოდ არდაშვება და კატეგორიული უარი ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით, წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ პროსტენტანტული ეკლესიის წარმომადგენლების მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას.

- **რელიგიური დაპირისპირება სამთაწყაროში**

2014 წლის დეკემბერში, ადამიანის უფლებათა ცენტრი დაუკავშირდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმ მოსახლეობას, რათა შეესწავლა 2013 წლის მაისსა და ივნისში მათ წინააღმდეგ განხორციელებული რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები[51]. სამთაწყაროში მცხოვრები მუსლიმი თემის განმარტებით, ისინი უარს აცხადებენ ისაუბრონ აღნიშნულ ფაქტებზე, რადგანაც ამის გამო პრობლემები ექმნებათ.

[51] გვ. 297-301, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf

ამასთან დაკავშირებით, ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარემ, ტარიელ ნაკაიძემ ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბარში განაცხადა: „შეხვედრაზე არავინ დაგთანხმდებათ, რადგან სამთაწყაროში ძალიან მძიმე სიტუაციაა. არ უნდათ ამ თემის განახლება, რადგან ეშინიათ იმ ზეწოლების განახლების, რაც გადაიტანეს. წინამძღვარ სულიკო ხოზრევანიძეზე იმდენად სერიოზული ზეწოლები იყო, რომ ახლა ტელეფონზეც ვერ პასუხობს. დაახლოებით 200 კაცი თავს დაესხა მოლას ოჯახს და აგაწიოკებთო, ეუბნებოდნენ. ლამის გაგიჟდა ეს კაცი. პარასკევის ლოცვის შემდეგ, საღამოს თავს დაესხნენ. თბილისიდან უშიშროების სამსახურიდან იყვნენ ჩასულები. ეს დაზუსტებული ფაქტებია. მოლა ავტომანქანით წაიყვანეს და რაღაც გაუკეთეს. ფაქტობრივად, ძალიან ცუდ მდგომარეობაში დააბრუნეს და უთხრეს, რომ შესულიყო და ელოცა. იქ კიდევ ხალხი იყო, რომელიც ყვიროდა და იგინებოდა. ფაქტობრივად, ეს კაცი იმ დღეს იქ გაითიშა. ამ საქმეში მხოლოდ ხალხი არ არის ჩართული. მხოლოდ ხალხი რომ იყოს და მთავრობა მხარს რომ არ უჭერდეს, მუსლიმები არ იქნებოდნენ გაჩუმებულები და მათი მხრიდან გამბედაობა იქნებოდა. პოლიცია ამბობს, რომ არ იყო ასეთი შემთხვევაო. რაღაც გამოძიება დაიწყეს, მაგრამ შეწყვიტეს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და გუბერნატორი ჩართულია ამ ამბავში. მაშინ ამ რაიონის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი იყო. შესაბამისად, სამთაწყაროში ძალიან რთულადაა სიტუაცია. ადგილობრივი მუსლიმები იმდენად დაუცველები არიან, რომ ვერ შევძელით ამ ადამიანების დარწმუნება, რაიმე მოიმოქმედონ“[52].

შემაშფოთებელია, რომ ადგილობრივი მუსლიმები სოფელ სამთაწყაროში დღემდე შიშის ქვეშ არიან და უფრთხიან პრობლემებზე ღიად საუბარს. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ 2013 წლის ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით დღემდე არავინ დასჯილა[53].

2013 წლის მაისსა და ივნისში, სოფელ სამთაწყაროში ადგილი ჰქონდა შემაშფოთებელ ძალადობის ფაქტებს მუსლიმი თემის წინააღმდეგ. სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, ადგილობრივმა მართლმადიდებელმა მოსახლეობამ მუსლიმ მრევლს მრავალჯერ შეუშალა ხელი პარასკევის ლოცვის ჩატარებაში, მათ შორის გზის გადაკეტვისა და ლოცვაზე დასასწრებად მიმავალი პირებისათვის სოფელში შესვლის აღკვეთის გზით[54-55]. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინციდენტებს აკვირდებოდნენ პოლიციის

[52] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18055&lang=geo

[53] გვ. 3, რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიცია, 2014 წლის 2 დეკემბერი http://www.scribd.com/doc/249013556/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#scribd

[54] http://gyla.ge/geo/news?info=1590

[55] გვ. 298-301, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf

თანამშრომლები, მათ არაფერი გააკეთეს უკანონობის აღსაკვეთად[56]. სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მუსლიმი მრევლის ადგილობრივი წინამძღოლის, სულიკო ხოზრევანიძის ოჯახის წევრების მიმართ განხორციელდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა[57–58].

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დაცველის ანგარიშში ვკითხულობთ: „საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მუსლიმი მრევლის ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს სოფელ სამთაწყაროს მუსლიმი მრევლის რელიგიის თავისუფლების დაცვა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები ფიზიკური დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა ბოლომდე ვერ უზრუნველყვეს მუსლიმი მრევლის რელიგიის თავისუფლების უფლება და სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმებს არ მიეცათ საკუთარი რელიგიური რიტუალების შესრულების შესაძლებლობა.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებაში შესაბამისი რეაგირება არ განუხორციელებიათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. კერძოდ, არც ერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში, სამართალდამცავ პირებს არ შეუსრულებიათ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება – დაეცვათ მუსლიმთა რელიგიური ჯგუფი მათდამი რელიგიური სიძულვილის გამოვლენისა და ძალადობისაგან“.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების დაწყების თაობაზე. სამინისტროს მიერ სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიება რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლისა და სულიკო ხოზრევანიძის შვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტებზე დაიწყო[59].

„საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ უცნობებია საგამოძიებო ორგანოების მიერ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ“, - ვკითხულობთ სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში[60].

---

[56] http://gyla.ge/geo/news?info=1590
[57] გვ. 298, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf
[58] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21147/
[59] გვ. 300, http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf
[60] *იგივე*

რეკომენდაციები

- ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს საქართველოს **შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურას**, გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ სამართალდამრღვევი პირები შემდეგ ფაქტებთან დაკავშირებით;

  - 2012-2013 წლებში, სოფელ ნიგვზიანში (გურია), წინწყაროსა (თეთრიწყარო) და სამთაწყაროში (დედოფლისწყარო) მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებული მუქარისა და რელიგიური რიტუალის უკანონოდ ხელშეშლის ფაქტები;
  - სოფელ ჭელაში მინარეთის უკანონო დემონტაჟი 2013 წლის 26 აგვისტოს;
  - სოფელ მოხეში პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები 2014 წლის ოქტომბერში;
  - სოფელ ფლატეში ისტორიული მეჩეთის განზრახ დაზიანების ფაქტი;
  - ქობულეთში მუსლიმი პანსიონის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები;
  - ლელა შველიძის საქმეში სამართალდამცავი პირების მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები;
  - იმედის ფესტივალთან დაკავშირებული ხანძრის გამომწვევი მიზეზები.

- ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს **სამართალდამცავს ორგანოებს,** უზრუნველყონ მუსლიმი პირების გადაადგილების თავისუფლება და მათ მფლობელობაში არსებული შენობით დაუბრკოლებელი სარგებლობა ქობულეთში;

- ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს საქართველოს **პრემიერ-მინისტრს და მთავრობას,** უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა დანიშვნისას, კადრების შერჩევა მოხდეს მათი ტოლერანტულობისა და ნეიტრალიტეტის გათვალისწინებით. ამავე დროს, იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც შემჩნეული არიან რელიგიური უმცირესობების შევიწროებაში ან ნეგატიურ როლს ასრულებდნენ შექმნილ კონფლიქტურ ვითარებებში, გამოძიების დასრულებამდე, შეუჩერდეთ სამსახურებრივი უფლებამოსილება.

- ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს **საქართველოს პარლამენტს,** უზრუნველყოს საპარლამენტო კონტროლის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის უწყებებზე, პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული კონტროლის ფორმების გამოყენებით, რელიგიის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით.

- **აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით,** უნდა უზრუნველყოს მუსლიმთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ისტორიულ მეჩეთებს მიანიჭოს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის სტატუსი, რათა არ მოხდეს მათი უკანონო ხელყოფა;

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ისლამოფობიის აღმოფხვრის მიზნით, **აღმასრულებელმა ხელისუფლებამ** უნდა განახორციელოს სპეციალური საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამები.

- **მთავრობამ** უნდა უზრუნველყოს სპეციალური ტრენინგების ჩატარება საჯარო მოხელეებისა და სამართალდამცველებისათვის რელიგიური ნეიტრალიტეტისა და უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით.

- რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი გამგეობებისა თუ საკრებულოების თანამდებობებზე, სასურველია, დაინიშნონ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებიც, რათა უმცირესობები უფრო მეტად იყვნენ ჩართული რეგიონში არსებული პრობლემების აღმოფხვრაში.

დანართი 1

ადამიანის უფლებათა ცენტრის სტატიები რელიგიის თავისუფლების საკითხებზე:

1) „ტოლერანტობა და რელიგიური უმრავლესობის შიშები''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17987&lang=geo
2) „ბრალდება თვითმხილველის გარეშე''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18002&lang=geo
3) „იეჰოვას მოწმეთა დევნის ფაქტებზე სახელმწიფო თვალს ხუჭავს''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18019&lang=geo
4) „ჭელა და მოხე - რელიგიური დაპირისპირების ორი საშიში კერა''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18032&lang=geo
5) „ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა სოფელ ფლატეს მეჩეთის სავარაუდოდ განზრახ დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18049&lang=geo
6) „შეცდომები, რასაც ხელისუფლება მუსლიმებთან მიმართებაში უშვებს''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18055&lang=geo
7) „2007 წელს დაზიანებული მეჩეთი და 2014 წელს დაწყებული გამოძიება''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18058&lang=geo
8) „მუსლიმებს ჭელის მეჩეთთან მისასვლელი ჭიშკარი ჩახერგილი დახვდათ''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18061&lang=geo
9) „ქობულეთის მუსლიმთა პანსიონთან ბარიკადებია აღმართული''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18085&lang=geo
10) „ახალციხის რაიონულმა სასამართლომ იეჰოვას მოწმე გაამართლა''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18098&lang=geo
11) „სიძულვილის ენის პრობლემა ქართულ მედიაში - ადამიანის უფლებათა ცენტრის ტრენინგი''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18132&lang=geo
12) „იკვეთება თუ არა „იმედის ფესტივალის'' დაგეგმვისას დისკრიმინაციის ფაქტები''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18154&lang=geo
13) „მრგვალი მაგიდა - რელიგიური უმცირესობები და რელიგიის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტები''
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18158&lang=geo

დანართი 2

ლელა შველიძის საქმე/ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმულია შემდეგი კითხვები:

- ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თმები მიეკუთვნება თუ არა ადამიანს და დადებით შემთხვევაში ამოგლეჯილია თუ მოჭრილი?

საქმის ვითარება მოკლედ არის აღწერილი დადგენილებაში:

აღწერილობითი ნაწილი: 29.07.2014 წ. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო პოლიეთილენის პაკეტი FCI0047152. პაკეტის რეკვიზიტებში გაკეთებულია ჩანაწერები:"პაკეტი №1. სსს №014030714001; თარიღი:03.07.2014წ. ობიექტი: ლელა შველიძის თმები. (ხელმოწერა) /ლ. შველიძე/. გამომძიებელი: ლიანა ფილიშვილი". (ფოტო №1-2).

პაკეტში აღმოჩნდა ერთმანეთში გადახლართული და გადაკვანძული თმისმაგვარი ღერების ბღუჯა. ბღუჯიდან დაუზიანებლად მოხერხდა ამოღება მხოლოდ 6 ღერის - ობიექტი №1-6.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა

თმების მორფოლოგიური გამოკვლევა:

თმის ღერების ფერი, ფორმა და სიგრძე /გაზომვა წარმოებდა სახაზავით/ შესწავლილი იქნა მაკროსკოპულად. თმის ღერები გაირეცხა თბილი საპნიანი წყლით და გაივლო გამოხდილ წყალში. თმის ღერები მოთავსდა სასაგნე მინაზე დაფიქსირდა საფარი მინით. ქერქოვანი შრის და გულის გამოკვლევა ტარდებოდა გლიცერინის ხსნარით გაშუქებულ პრეპარატებში. თითოეული ღერი, მთელ სიგრძეზე დათვალიერდა მიკროსკოპის დიდ და მცირე გადიდებაზე. ქერქოვან შრეში შესწავლილი იქნა პიგმენტების ფერი, მისი მარცვლების ზომა და არქიტექტონიკა. სისქის გაზომვა ტარდებოდა ოკულარ-მიკრომეტრის საშუალებით. კუტიკულა შესწავლილი იქნა ნეგატიურ ანაბეჭდზე.

გამოკვლევით დადგინდა:

ბღუჯიდან ამოღებული თმისმაგვარი ღერები /ობიექტი №1-6/:

თმები მუქი ყავისფერია, ტალღოვანი, სიგრძით 11,4-43,8სმ. თმის საშუალო მაქსიმალური სისქე უდრის 0,081 მმ. თმების ძირული ბოლოებში აღინიშნება

კაუჭისებური ბოლქვი გარსით /თმები ამოგლეჯილია/. თმებში აღინიშნება გული წყვეტილი ჭიმის სახით. 5 თმის პიგმენტი ძირული ბოლოს პატარა მონაკვეთში მუქი ყავისფერია წვრილ და საშუალომარცვლივანი, პერიფერიულ ბოლოსკენ პიგმენტის მარცვლების კონტურები ძნელად შესამჩნევია, ქერქოვანი ნივთიერება ყავისფერია მოწითურო ელფერით, ხოლო 1 თმაში პიგმენტი არ აღინიშნება, ქერქოვანი ნივთიერება ღია ყავისფერია მოწითურო ელფერით /თმები შეღებილია/. თმების ოპტიკური კიდეები თითქმის სწორია. კუტიკულას სურათი რთულია, ხაზები ტალღისებურია, წვრილ-დაკბილული და დაახლოებული. თმები მიეკუთვნება ადამიანის თმას თავის არედან.

თმები დაილუქა FCI0004872 (ფოტო №3).

დ ა ს კ ვ ნ ა

- ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თმის ბღუჯიდან ამოღებული 6 ღერი /ობიექტი №1-6/ მიეკუთვნება ადამიანის თმას თავის არედან. ისინი ამოგლეჯილია.

მთავარი ექსპერტი: /ი. ბაღათურია/

დანართი 3

ლელა შველიძის საქმე/განაჩენი

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 20-21-ე, 255-ე, 258-260-ე, 268, 270-ე, 276-277-ე, მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ლელა შველიძე** ცნობილი იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს.

2. განემარტოს გამართლებულს, რომ მას აქვს უფლება აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი;

3. სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - ადამიანის თმები, რომელიც ინახება ახალციხის რაიონულ სასამართლოში, განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

4. განაჩენი მიღებისთანავე შედის კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას.

5. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე **გიორგი ლონდარიძე**

10